საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №291

თბილისი „12" 03 2019 წ.

„საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ც" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „თ" და „ლ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილის 2019 წლის 06 მარტის N277881 წერილის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობის" პროგრამა (პროგრამული კოდი: 32 05 01 03) ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი

დამტკიცებულია:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის
2019 წლის 12.03 № 291 ბრძანებით

საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობა

პროგრამული კოდი: 32 05 01 03

2019

თავი I

მუხლი 1.

1.1. პროგრამის დასახელება	საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობა
1.2. პროგრამის განხორციელების ვადები	2019 წ
1.3. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი	4 018 740 ლარი (ოთხი მილიონ თვრამეტიათას შვიდასორმოცი)
1.4. პროგრამის ხელმძღვანელი	ირინე აბულაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე.
1.5. ბიუჯეტის განმკარგავი	ზვიად გაბისონია - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი.
1.6. საოპერაციო მენეჯერი	მალხაზ ხოფერია -საფინანსო ნაწილი, ნინო გაჩეჩილაძე, მარიამ ქებურია - დარგობრივი ნაწილი.
1.7. ქვეპროგრამები	1.1 ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსი 1.2 საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა

მუხლი 2. პროგრამის/აღწერა

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება განსაზღვრავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ორმხრივად აღიარებულ პრიორიტეტებს. ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მისი დღის წესრიგის ერთ-ერთ პრიორიტეტს სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში თანამშრომლობა წარმოადგენს.

2016 წელს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან „ჰორიზონტი 2020“ საქართველოს ასოცირების შეთანხმების გაფორმებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების შედეგად, საქართველოს მეცნიერებსა და ინსტიტუციებს შესაძლებლობა მიეცათ „ჰორიზონტი 2020“-ის კონკურსებში მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეცნიერებისა და ინსტიტუტების თანაბარი უფლებებით.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროკავშირს შორის 2017 წელს გაფორმდა საგრანტო ფინანსური ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის დელეგაციის მიერ საქართველოში „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში გადახდილი საწევრო გადასახადიდან დაბრუნებული 50%-ის თანხის საქართველოში

მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სისტემის განვითარების ხელშეწყობისათვის მოხმარებას.
ზემოაღნიშნული თანხის ფარგლებში სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი განახორციელებს სპეციალურ მიზნობრივ პროგრამას, როგორც დამხმარე ინსტრუმენტს საქართველოს სამეცნიერო - ტექნოლოგიური პოტენციალის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის და „ჰორიზონტი 2020"-ში ქართული ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მონაწილეობის გაფართოებისათვის.

მუხლი 3. პროგრამის/მიზანი
საერთაშორისო პროგრამებში საქართველოს მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობის პროგრამის (შემდგომში - პროგრამის) ძირითადი მიზანია საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარების მხარდაჭერა, სისტემის ინტერნაციონალიზაცია, საქართველოს მეცნიერთა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამებში („ჰორიზონტი 2020", მეცხრე ჩარჩო პროგრამა) მონაწილეობის ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესება, ინტელექტუალური და სამეცნიერო - ტექნოლოგიური რესურსების განვითარება.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების სტრატეგია
1. საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო ევროკავშირის დელეგაციის მიერ საქართველოში „ჰორიზონტი 2020"-ის ფარგლებში გადახდილი საწევრო გადასახადიდან დაბრუნებული მიზნობრივი გრანტის („სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების შესაბამისად დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ევროკავშირისაგან მისაღები ფულადი გრანტი 3,760,000 ევრო - №1452; 30.10.2017.) ფარგლებში ეტაპობრივად მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციის გათვალისწინებით დააფინანსებს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდს ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდზე თანხის გადარიცხვის გზით საქართველოში მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სისტემის განვითარების ხელშეწყობისათვის. ფონდი თავის მხრივ უზრუნველყოფს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული პროგრამების ადმინისტრირებას.
2. პროგრამის ადმინისტრირება მოიცავს პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საგრანტო და ოპერაციულ აქტივობებს:
2.1 კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის საგრანტო კონკურსების შესახებ ცნობადობის ამაღლება სამიზნე აუდიტორიებში, რაც გულისხმობს საინფორმაციო დღეების, პრეზენტაციების, ტრენინგებისა და სხვა დამხმარე ოპერაციული აქტივობების ორგანიზებას;
2.2 კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში მკვლევრებისა და ინსტიტუციების მონაწილეობის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა, რაც მოიცავს საგრანტო კონკურსებისა და სხვა ოპერაციული აქტივობების ადმინისტრირებას;
2.3 საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის გაუმჯობესებას/შეძენას;

2.4 საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფას;

2.5 ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ეროვნული საკონტაქტო პირების (National Contact Point – NCP) ქსელის განახლებას და ოპტიმიზაციას ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელ პროგრამული კომიტეტის კონფიგურაციებში საქართველოს აქტიურ, მიზანზე ორიენტირებულ მონაწილეობას;

3. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი საბიუჯეტო წლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოფს შინაარსობრივი და წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. ასევე, ფონდი სამინისტროდან მიღებული მიზნობრივი გრანტის ფარგლებში წარმოადგენს ხარჯების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას (რეესტრის ფორმით), სადაც დაფიქსირდება ფონდის მიერ გაცემული გრანტის ოდენობა: მიმღების დასახელება, მაინდენტიფიცირებელი მონაცემი, მიღებული თანხის ოდენობა, ფაქტიური ხარჯების და აუთვისებელი თანხის ოდენობა ასეთის შემთხვევაში. ასევე ფონდმა უნდა წარმოადგინოს ყველა ბენეფიციალთან გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტი. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე სამინისტრო უზრუნველყოფს ფონდის დებიტორული დავალიანების ჩამოწერას.

მუხლი 5. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფებია:

1. საქართველოს მოქალაქეები - მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორში მოღვაწე მეცნიერები, აკადემიური პერსონალი და ახალგაზრდა მკვლევარები (პოსტდოქტორანტები, დოქტორანტები, მაგისტრანტები);

2. საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათთან ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;

3. დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებები/ცენტრები, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების და კერძო სექტორში ჩართული და სხვა დარგობრივ სამინისტროებთან ასოცირებული სამეცნიერო - კვლევითი ორგანიზაციები;

4. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორში ჩართული არასამეცნიერო, მათ შორის კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაციები, რომლებსაც ტექნოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად ან წარმოების/მომსახურების გასაუმჯობესებლად ჭირდებათ ან წესდებით აქვთ გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ან გააჩნიათ შესაბამისი შიდა სტრუქტურული ერთეულები და დაინტერესებულები არიან სამეცნიერო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით.

მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

1. ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამებზე სამიზნე ჯგუფებისათვის მიწოდებული სრულყოფილი, განახლებადი ინფორმაცია;

2. საქართველოს მეცნიერთა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობით, სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლისა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ხილვადობის გაუმჯობესებით უზრუნველყოფილი გაძლიერებული სამეცნიერო კონკურენტუნარიანობა საგრანტო კონკურსებისა და სხვა ოპერაციული აქტივობების ადმინისტრირების გზით;

3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაუმჯობესებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა საგრანტო კონკურსების ადმინისტრირების გზით;

4. სამეცნიერო საზოგადოების მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების და ბიბლიომეტრული მონაცემების გაუმჯობესებული მაჩვენებელი;

5. ევროპის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის ეროვნული საკონტაქტო პირების და მრჩეველთა გაძლიერებული ქსელი, პროგრამული კომიტეტის კონფიგურაციებში საქართველოს გაძლიერებული წარმომადგენლობა.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი *

	დასახელება	**2019 წელი**
1	**საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობა**	**4,018,740.00**
	საქონელი და მომსახურება	10,400
	სხვა ხარჯები	1,178,240
	გრანტები	1,500,000.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,330,100

* შენიშვნა: მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად რიგი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ხარჯვა შესაძლებელია განხორციელდეს სხვა მუხლიდან/მუხლებიდან, რომელიც წლის ბოლომდე შესაბამისი ცვლილებების შეტანის შედეგად დაზუსტდება.

მუხლი 8. ქვეპროგრამების ბიუჯეტი *

N	**დასახელება**	**2019 წელი**
1.1	**ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსი**	**207,650.00**
	საქონელი და მომსახურება	7,700.00
	სხვა ხარჯები	199,950
1.2	**საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა**	**1,332,800.00**
	საქონელი და მომსახურება	2,700.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,330,100
	სულ:	**1,540,450.00**

* შენიშვნა: ამ ეტაპზე, პროგრამის ფარგლებში დარჩენილია გაუნაწილებელი რესურსი 2,478,290
ლარის ოდენობით, რომელიც მიმართული იქნება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სხვა ქვეპროგრამების განხორციელებაზე, რომელიც განისაზღვრება მოგვიანებით.

მუხლი 9. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

9.1. საბაზისო მაჩვენებელი - არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი
ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შემთხვევაში - 21 სახელმწიფო ინსტიტუციისაგან შექმნილი კონსორციუმი;

9.2. მიზნობრივი მაჩვენებელი
1. ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსის გზით დაფინანსებული მეცნიერების რაოდენობა;
2. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა - ბაზების მომხმარებელთა (უსდ აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომელთა) რაოდენობა;
3. ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შემთხვევაში დაახლოებით 53 წევრისგან შემდგარ კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულება.

9.3. ცდომილების ალბათობა
1. ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსის შემთხვევაში შესაძლოა დაფიქსირდეს მაღალი სამეცნიერო მნიშვნელობის საპროექტო განაცხადების სიმცირე;
2. შესაძლოა კონსორციუმის წევრების ცვლილება სამეცნიერო ელექტრონული ბაზების ხელშეკრულებაში.

9.4. შესაძლო რისკები - არასაკმარისი აკადემიური რესურსი, სამეცნიერო ბაზების გამოყენების მცირე მაჩვენებელი, გარკვეულ სამეცნიერო მიმართულებებში ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიციური კადრების სიმწირე.

თავი II

ქვეპროგრამა 1.

მუხლი 1.

1.1. ქვეპროგრამის დასახელება	**ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსი**
1.2. ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	**2019 წელი**
1.3. ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი	**207 650 (ორასშვიდიათას ექვსასორმოცდაათი) ლარი;**
1.4. ბიუჯეტის განმკარგავი	ზვიად გაბისონია - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი.
1.5. ოპერაციული მენეჯერი	მალხაზ ხოფერია - საფინანსო ნაწილი; მარიამ ქებურია - დარგობრივი ნაწილი;

მუხლი 2. ქვეპროგრამის/აღწერა

კონკურსის ფარგლებში გაიცემა ინდივიდუალური გრანტები, რომლებიც საშუალებას მისცემს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების ახალგაზრდა, გამორჩეულ მეცნიერს ეზიაროს საერთაშორისო პრაქტიკას, გაეცნოს ევროპული კვლევების საბჭოს (European Research Council – ERC)-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების სამეცნიერო კვლევის სტანდარტებსა და ნორმებს, განავითაროს ERC-ის კონკურსებისთვის პროექტის მომზადებისთვის საჭირო შესაბამისი კომპეტენციები, რაც სამომავლოდ ERC-ის კონკურსებში მათი წარმატების საწინდარი იქნება.

კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები ERC-ის მიერ განსაზღვრულ სამეცნიერო მიმართულებებში.

მუხლი 3. ქვეპროგრამის/მიზანი

ევროპული კვლევების საბჭოს (European Research Council – ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსის მიზნებია: ევროპული კვლევების საბჭოს (შემდგომში - ERC) საგრანტო კონკურსებში საქართველოს მეცნიერთა წარმატებული მონაწილეობისა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა; საქართველოს გამორჩეული მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების დაფინანსება ERC-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, კვლევით ჯგუფებთან მასპინძელ კვლევით უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების სტრატეგია

1. გრანტის გაცემას ახორციელებს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული საემცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშების ფორმების დამტკიცებას;
გ) კომისიის ან/და დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასებისთვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;
დ) კომისიის შეფასებებზე დაყრდნობით, დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას;
ე) გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს, დადგენილი წესის შესაბამისად.
3. გრანტის ფარგლებში, ახალგაზრდა მეცნიერს აუნაზღაურდება საერთაშორისო მგზავრობის, დაზღვევის, ვიზის ხარჯები, მიეცემა ყოველთვიური ფიქსირებული სტიპენდია, რომელიც დაფარავს საცხოვრებელი ბინის, შიდა ტრანსპორტირების, კვების ხარჯებს და საჭიროების შემთხვევაში, დამატებით დაუფინანსდება მასპინძელ ორგანიზაციაში სტაჟირებისათვის მოთხოვნილი სარეგისტრაციო გადასახადი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
4. საკონკურსოდ წარდგენილი საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3, 4 ან 5 თვე.
5. გამარჯვებული საგრანტო პროექტის დაფინანსება განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც ფონდი გააფორმებს გრანტის მიმღებთან. თანხა გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე ჩაირიცხება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით ევროს ეკვივალენტი ლარში.
6. პროექტის წარდგენა ფონდში ხორციელდება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადების დაცვით, რომლის გასვლის შემდეგ პროექტები ფონდში აღარ მიიღება.
7. პროექტი ფონდში წარდგენილი უნდა იქნეს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად.
8. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი:
ა) რომელიც არ აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს;
ბ) რომელიც არ შეესაბამება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროექტის ფორმას;
გ) რომელსაც არ ერთვის ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული, პროექტთან ერთად წარსადგენი დოკუმენტაცია;
დ) რომელიც შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
9. გრანტის მიმღები ვალდებულია, გრანტის დასრულების შემდგომ, საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს განაცხადი ERC-ის საგრატო კონკურსში.
10. ფონდი უზრუნველყოფს პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას.
11. კომისიის მიერ საგრანტო პროექტი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

#	კრიტერიუმი	A/B/C კატეგორია A: 7-9 B: 4-6	ქულა და კომენტარი (თითოეული კრიტერიუმი ფასდება

		C: 1-3	**მინ. 1 ქულით, მაქს. 9 ქულით**
1	კვლევითი თემის სამეცნიერო ღირებულება		
2	ახალგაზრდა მეცნიერის კვლევითი კომპეტენციები		
3	აქვს თუ არა ახალგაზრდა მეცნიერს პოტენციალი მიიღოს ERC გრანტი (იწერება მხოლოდ დიახ ან არა):	დიახ	არა
4	პროექტის თემატიკის შესაბამისობა ERC -ის მიერ დაფინანსებული პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის კვლევის თემასთან (იწერება მხოლოდ დიახ ან არა):	დიახ	არა
	ჯამური ქულა (min. 2; max. 18):		
საპროექტო განაცხადის შესახებ შემაჯამებელი კომენტარი კრიტერიუმების მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად:			

11.1. შეფასების თითოეული კრიტერიუმი (პირველი და მეორე) ფასდება A/B/C შეფასების სისტემის შესაბამისად. თითოეული კრიტერიუმის მინიმალური შეფასება შეადგენს 1 ქულას (C), ხოლო მაქსიმალური - 9 ქულას (A). საპროექტო განაცხადის ჯამური მაქსიმალური შეფასება შეიძლება იყოს 18 ქულა.

11.2. კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	**შეფასება ABC კატეგორიით**	**შეფასება**	**განმარტება**
1	C-	შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები.
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია.
6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია.
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ

			აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება.
8	A	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს.

დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 12 ან მეტი ქულა. თუ პროექტის შეფასება რომელიმე კრიტერიუმში არის „C“, პროექტი არ განიხილება დასაფინანსებლად მიუხედავად ჯამური ქულების ოდენობისა.
თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ და შემდგომ მეორე კრიტერიუმში.
მესამე და მეოთხე კრიტერიუმებში არ იწერება ქულები, არამედ მხოლოდ ფასდება „დიახ“ ან „არა“ კატეგორიით. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მესამე, ან მეოთხე კრიტერიუმში მიიღებს „არა“ შეფასებას, ის არ დაფინანსდება.
12. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით მოიწვოს დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი.
13. დამოუკიდებელი ექსპერტი და კომისიის წევრები პროექტებს აფასებენ დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად და ფონდის მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე.
14. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების შესრულების მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს გრანტით დაფინანსებული პროექტის შესრულების კონტროლს როგორც ფინანსური, ისე პროგრამული თვალსაზრისით.
15. გრანტის მიმღები ვალდებულია ფონდს წარუდგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიშები ფონდის მიერ დადგენილი ფორმების მიხედვით.
16. ფონდი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს გრანტის მიმღების დაფინანსება პროექტის ამოცანების შეუსრულებლობის, ყალბი მონაცემების აღმოჩენის, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 5. ქვეპროგრამის მიზნობრივი ჯგუფი
დაფინანსების მოსაპოვებლად, საგრანტო განაცხადის წარდგენა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს - ახალგაზრდა მეცნიერს, რომელიც ფლობს ინგლისურ ან/და მასპინძელი ქვეყნის, ERC გრანტის მიმღები მეცნიერის მშობლიურ ენას, აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, რომელიც მიენიჭა კონკურსის გამოცხადების წლამდე ბოლო 12 წლის პერიოდში.

მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი
ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან კვლევითი ვიზიტების რაოდენობა.

მუხლი 7. ქვეპროგრამის სპეციფიური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები:

№	ამოცანა	აქტივობები	ვადები
1	კონკურსის ადმინისტრირება	1. კონკურსის გამოცხადება, 2. პროექტების წარდგენა ფონდში, 3. პროექტების კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენა, 4. პროექტების კომისიის მიერ შეფასება 5. გამარჯვებული პროექტების დამტკიცება და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება. 6. გრანტის გადარიცხვა და შესრულების მონიტორინგი.	2019,2020 წ

მუხლი 8. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია	ფუნქციები/ვალდებულება
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	კონკურსის ადმინისტრირება
გრანტის მიმღები ფიზიკური პირები	კვლევითი სტაჟირების განხორციელება

მუხლი 9. ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთა ფუნქციები და ვალდებულებები:

- ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) აღმასრულებელი სააგენტოს მიერ დასახელებულ კოორდინატორებთან ინტენსიური კომუნიკაცია ERC-ის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელების მხრიდან ინტერესის გამოხატვის შესახებ;
- ინფორმაციის მომზადება ERC-ის მიერ დაფინანსებული იმ სამეცნიერო პროექტების შესახებ, რომელთა ხელმძღვანელებმაც გამოხატეს ინტერესი საქართველოს მეცნიერთა პროექტში ჩართვის და მიღების შესახებ;
- ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) აღმასრულებელ სააგენტოსთან შეთანხმებით, კონკურსის გამოსაცხადებლად საჭირო ღონისძიებების გატარება: კონკურსის მარეგულირებელი დოკუმენტების თარგმნა ინგლისურ ენაზე და ERC-ის აღმასრულებელ სააგენტოსთვის გაზიარება;
- საგრანტო კონკურსის შესახებ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის წარმოება საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას შორის.

მუხლი 10. კოორდინატორის ფუნქციები:

- კონკურსის სრული ციკლის ადმინისტრირება

- კომუნიკაცია ევროპული კვლევების საბჭოს საკონტაქტო პირთან;
- კომუნიკაცია პოტენციურ აპლიკანტებთან;
- საინფორმაციო და საკონსულტაციო დღეების ჩატარება;
- ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან კომუნიკაციის კოორდინაცია

მუხლი 11. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

N	დასახელება	2019 წელი
1.1	**ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან საქართველოს მკვლევართა სამეცნიერო სტაჟირების კონკურსი**	**207,650.00**
	საქონელი და მომსახურება	7,700.00
	სხვა ხარჯები	199,950.00

მუხლი 12. ქვეპროგრამის ფარგლებში გასაწევი სხვა აქტივობების ხარჯთაღრიცხვა

N	დასახელება	2019 წელი
	კოორდინატორის თანამდებობრივი სარგო	2,700.00
	მივლინება	5,000.00
	საგრანტო კონკურსი	199,950.00
	სულ:	**207,650.00**

№	დასახელება	დასაქმებულთა რაოდენობა	თვეების რაოდენობა	ერთი თვის შრომის ანაზღაურება	სულ 2019 წელი
1	კოორდინატორი	1	9	300	2700
ჯამი:					2,700.00

მუხლი 13. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

13.1 საბაზისო მაჩვენებელი - არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი
საბაზისო მაჩვენებელი 2019 წლისათვის არ არსებობს, პროგრამის ინიცირება ხდება 2019 წლიდან.
13.2. მიზნობრივი მაჩვენებელი
პროგრამის მიზნობრივი მაჩვენებელია დაფინანსებული 6 ახალგაზრდა მეცნიერი
13.3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 30% შესაძლოა საკონკურსო განაცხადები არ იყოს მაღალი სამეცნიერო ღირებულების მატარებელი.
13.4. შესაძლო რისკები - საკონკურსო განაცხადების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი;

თავიIII

ქვეპროგრამა 2.

მუხლი 1.

1.1. ქვეპროგრამის დასახელება	**საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა**
1.2. ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	**2019 წელი**
1.3. ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი	**1 332 800 (მილიონ სამასოცდათორმეტიათას რვაასი) ლარი**
1.4. ბიუჯეტის განმკარგავი	ზვიად გაბისონია - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი.
1.5. ოპერაციული მენეჯერი	მალხაზ ხოფერია -საფინანსო ნაწილი; ნინო გაჩეჩილაძე - დარგობრივი ნაწილი;

მუხლი 2. ქვეპროგრამის/აღწერა

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიისათვის ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფას, კერძოდ, აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის უზრუნველყოფილი იქნება წვდომა:

• სამეცნიერო ბაზაზე, რომელშიც შესაძლებელი იქნება ყველა სამეცნიერო მიმართულებით სამეცნიერო სტატიების აბსტრაქტების, სამეცნიერო ჟურნალების, წიგნებისა და სტატიების მოძიება; ასევე კონკრეტული მკვლევარის სამეცნიერო პროდუქტიულობის განსაზღვრა ციტირებისა და h index-ის დათვლის გზით.

• ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელ მონაცემთა ბაზებზე წვდომის შესაძლებლობას.

• ტექნოლოგიურ ინსტრუმენტზე, რომლის საშუალებით შესაძლებელია საერთაშორისო საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

• ონლაინ ინსტრუმენტზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კონკრეტული სამეცნიერო მიმართულებით მეცნიერების სტატუსის (აქტიური/მოქმედი) განსაზღვრას ციტირების ინდექსის მაჩვენებელთა გათვალისწინებით.

მუხლი 3. ქვეპროგრამის/მიზანი

სამეცნიერო საზოგადოებას ექნება სრული წვდომა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობის ბაზებთან, შეეძლებათ უსასყიდლოდ ჩამოტვირთონ და ისარგებლონ მსოფლიოში გამოქვეყნებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით (სამეცნიერო სტატიები, წიგნები, წიგნების თავები, აბსტრაქტები) მათი კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანამშრომლებს დამატებით შეეძლებათ ისარგებლონ საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსებისა და დარგობრივი სამეცნიერო

ექსპერტებზე ინფორმაციისა და ანალიზისათვის; კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მეცნიერებსა და სტუდენტებს შეეძლებათ უსასყიდლოდ ისარგებლონ ანალიტიკური ინსტრუმენტითა და პროგრამით - ბიბლიოგრაფიაზე მუშაობისა და მენეჯმენტისათვის.

აღნიშნულ ბაზებზე წვდომა მნიშვნელოვანია, როგორც ქართული მეცნიერების განვითარებისათვის, ასევე, მეცნიერების პოლიტიკისა და მენეჯმენტის ეფექტური განხორციელებისათვის.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების სტრატეგია

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სხვა წევრებისაგან კონსორციუმის შექმნა და მოლაპარაკებების წარმოება ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მოწოდების თაობაზე

მუხლი 5. ქვეპროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო -კვლევითი დაწესებულებები, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება.

მუხლი 6. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

საქართველოში რეგისტრირებული საჯარო და კერძო უსდ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა.

მუხლი 7. ქვეპროგრამის სპეციფიური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები:

№	ამოცანა	აქტივობები	ვადები
1	საქართველოში რეგისტრირებული საჯარო და კერძო უსდ კონსორციუმის შექმნა და ხელშეკრულების გაფორმება სამეცნიერო ბაზების მფლობელ კომპანიასთან	1. საქართველოში რეგისტრირებული საჯარო და კერძო უსდ კონსორციუმის შექმნა, 2. მოლაპარაკება სამეცნიერო ბაზების მფლობელ კომპანიასთან, 3. ხელშეკრულების გაფორმება	2019

მუხლი 8. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია	ფუნქციები/ვალდებულება
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	კონსორციუმის შექმნა
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მომსახურების მანძილზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი

მუხლი 9. ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთა ფუნქციები და ვალდებულებები:

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისთვის საჭირო სამართლებრივი და ფინანსური აქტივობების განხორციელება.
- კონსორციუმის შექმნა
- ხელშეკრულების მოგმედების პერიოდზე (სამი წლის მანძილზე) კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების კონტროლი და ეტაპრობრივი ანგარიშსწორება შესრულებულ სამუშაოს მიხედვი.

მუხლი 10. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

N	დასახელება	2019 წელი
1.2	**საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფა**	**1,332,800.00**
	საქონელი და მომსახურება	2,700.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,330,100

მუხლი 11. კოორდინატორის ფუნქციები

- კომუნიკაცია ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მომწოდებლებთან
- კომუნიკაცია კონსორციუმის წევრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების საკონტაქტო პირებთან
- ხელშეკრულების განხორციელების დეტალების კოორდინირება

მუხლი 12. ქვეპროგრამის ფარგლებში გასაწევი სხვა აქტივობების ხარჯთაღრიცხვა

N	დასახელება	2019 წელი
	კოორდინატორის თანამდებობრივი სარგო	2,700.00
	მომსახურების ხარჯი	1,330,100
	სულ:	**1,332,800.00**

№	დასახელება	დასაქმებულთა რაოდენობა	თვეების რაოდენობა	ერთი თვის შრომის ანაზღაურება	სულ 2019 წელი
1	კოორდინატორი	1	9	300	2700
ჯამი:					2,700.00

მუხლი 13. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

13.1 საბაზისო მაჩვენენებელი - არსებული რეალობის ამსახველი ინდიკატორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსგ) მიერ მოძიებული ბიბლიომეტრული და ბაზების გამოყენების მაჩვენებლები.

13.2. მიზნობრივი მაჩვენებელი

კონსორციუმში გაერთიანებული ინსტიტუციების რაოდენობის მატება, ბიბლიომეტრული მონაცემების მატება

13.3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) – 10%

კონსორციუმის წევრებისათვის დამატებითი ტრენინგების აუცილებლობა ელექტრონული ბაზების შესაძლებლობების შესახებ

13.4. შესაძლო რისკები - ტრენინგის განუხორციელებლობის მცირე რისკი ელექტრონული ბაზების შესაძლებლობების საკითხებზე.